კლდე

№ 40

31 ქრისტეშობის 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

შოტლანდიელები ატყვევებენ გერმანელ რაზმსა.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. მეთაური. 2. საერობო საქმე და დეპუტატთა საკრებულო.—**რ. გესი.** 3. შესვენება.—**ქე. დ—ელისა.** 4. ჭრეს. 5. „შადრევანი“. 6. საბედისწერო ომი სარიყამიშთან.—**დ. ოგენისა.** 7. ქართული ეროვნული ჩაცმულობა.—**ვინმე სოფლელისა.** 8. ფაუსტი.—ა. შ-ისა.

თბილისი. 31 ქრისტიშობისთვე 1914 წ.

უკანასკნელ დღეების გაზეთებს საზარელი ამბები მოაქვთ ოსმალეთისა და სპარსეთის სამხრეთიდან: ათასობით, ათიათასობით, ასიათასობით გამორბის სომხობა სამშობლო ადგილებიდან, დაწიოკებული ომისაგან. რუსეთის ჯარის უკან დახევამ, რომელსაც ალტაცებით და სიხარულით ეგებებოდა სომხური მოსახლეობა, გააბოროტა და გაალიზიანა ოსმალები, რომელნიც ჯავრს იყრიან მშვიდობიან მოსახლეობაზედ. ეს „ბუნებრივი“ მოვლენაა დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაში და ამ პოლიტიკას ვერ ასცდენია ჯერჯერობით - ვერც ერთი ევროპიული სახელმწიფოც, არამც თუ აზიური. ეს საერთო ბედია ყველა პატარა ერისა, რომელსაც საკუთარი ძალა არ შესწევს თავდაცვისა.

ჩვენს ღრმა წუხილს და თანაგრძნობას სომხის ერის უბედურებისას აორკეცებენ ის პოლიტიკური მოსაზრებანი, რომელთაც იწვევს ამ უბედურების შედეგები.

სომხის ერი, იძულებული მკაცრი და სასტიკი ძალისაგან, სტოვებს თავის სამშობლოს (რომელსაც საერთო პირობების ზეგავლენით არცთუ ისე მაგრა აკრავს შეგნებით და გრძნობით) და გამორბის რუსეთის საზღვრებში. ყოველ დღე გაზეთებს ამბავი მოაქვთ, რომ 40,000 სომეხი გამოიქცა თავრიზიდან რუსეთში, 15,000 უკვე გადასახლდა ჯულფიდან ერივანში, რომ არტაანიდან სომხები ათასობით გარბიან ახალქალაქსა და ახალციხეში, ახალქალაქსა და ახალციხიდან გორში, თბილისში და სხ. და სხ. ამ გვარად, ის მძლავრი ტალღა სომეხთა გადმოსახლებისა, რომელიც შეუწყვეტლად მომდინარეობდა ჩრდილოეთით ომის დასაწყისში, როცა სომეხთა ელეტა მითი იყო და რუსის ჯარი სასწაულებრივი სისწრაფით წინ მიიწევდა ოსმალეთის საზღვრეში,—ეს ტალღა ახლა აბობოქრებული მაღლდება უმწვერვალესობამდე და აქეთკენვე მოიმართება.

ჰუმანიტარული გრძნობა, სიბრალული დავრდომილთა, დაწიოკებულთა და დამშეულთა მიმართ თითქმის უხერხულადა ჰქმნის ლაპარაკს იმ შედეგებზედ, რომელიც ამ გადმოსახლებას მოსდევს, მაგრამ თვალხილული მოაზროვნე ვალდებულია საზოგადოებას ნათლად დაუხატოს ამ შედეგების სიმწვავე.

ობიექტიურად რომ შევხედოთ საკითხს, თავი რომ დავანებოთ სიმპატია-ანტიპატიას და სურვილებს, ფაქტი ის არის, რომ კავკასიის საზღვრებს ემატება კიდევ ერთხელ მძლავრი ტალღა ზედმეტი გადმოსახლებისა მაშინ, როდესაც ადგილობრივი მკვიდრნიც ვერ ეტევიან თავიანთ ქერქში საერთო სივიწროვისა გამო. მკვიდრთა შორის რასაკვირველია თვით ადგილობრივი სომხებიც არიან, რომელთა ინტერესები ცოტად თუ ბევრად ეწინააღმდეგებიან ახალ გადმოსახლებულთა ინტერესებს და უკვე სიმპტომებიც არის ერთ-ურთის უკმაყოფილებისა მათ შორის. მაგრამ, რაღა თქმა უნდა ესეთი უკმაყოფილება დროებითი ხასიათისაა, ვინაიდან ეროვნული ნათესაობა აქაც იჩენს თავსა და იძულებულ ჰყოფს სომხობას ადგილი მოსთხოვოს სხვა მოსახლე ტომებს.

მაგრამ სიმწვავეს მომენტისას უფრო აძლიერებს ის გარემოება, ის, კრიზისამდე მიღწეული მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია ომმა თვით კავკასიაში. ყველამ კარგად იცის თუ რა მოუსავლობა იყო წრეულს, ყოველ დღე გვესმის ჩივილი და მოდარა თვით მკვიდრი მცხოვრებლებისა იმის შესახებ, რომ მეურნეობა სასტიკ კრიზისს განიცდის, ღვინო აკრძალულია, პურისა და ფქვილის ნაკლებულობას ვერავინ ავსებს, რადგან გზები დაჭერილია სამხედრო მიმოსვლით და ჩვენი ქალაქები შიმშილობის პირზედ არიან მიმდგარნი. ქართლი, კახეთი, იმერეთი იმგვარადვეა დაზარალებული მატერიალურად და სანოვაგის მხრით, როგორადაც ბაქოს, ერევნის გუბერნია და ყარსის ოლქიც: მაშასადამე არსად არ არის დაგროვილი სათადარიგო, ზედმეტი მოსავალი, რომელიც თვით ადგილობრივ მოსახლეობას ეყოს. აი სწორედ ამ დროს აწვება მძლავრი ტალღა გადმოსახლებისა

კავკასიას; ეს ტალღა მით უფრო დიდს საფრთხეს წარმოადგენს, რომ იგი ტალღა დამშეულთაგან და დაწიოკებულთაგან არის შემდგარი, რომელსაც თან გაჭირვება, შიმშილი და ავადმყოფობა მოსდევს და არა რაიმე სახსარი, გამოსადეგი თავისათვის და სხვისათვის.

კავკასიაში რამდენიმე ასიათასი დამშეულის გადმოსახლება სახელმწიფოებრივ საფრთხესაც წარმოადგენს იმ მხრივ რომ მოსალოდნელი საერთო შიმშილი გამოიწვევს ათასგვარ არასასიამოვნო მოვლენას და აღელვებას. დღეს, როდესაც გზები რუსეთიდან თითქმის შეკრულია და მთელ ცხოვრებას ატყვია არა მარტო საერთო სისუსტე, არამედ უმთავრესად პირველ საჭიროების საგანთა ნაკლებულობა, როდესაც მთავარი ღერძი ცხოვრებისა—ფქვილი—თითქმის ველარ შემოდის რუსეთიდან, საერთო გასაჭირი მკვიდრ მოსახლეობისა, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთა, იმდენად თვალსაჩინოა, რომ ღალადისი მთავრობის დახმარებისადმი ოსმალეთის და სპარსეთის ქვეშევრდომებისადმი—მეტად უსამართლო იქნებოდა. ჩვენ გვესმის მიმართვა საზოგადოებისადმი და მის გულშემატკივრობასთან ლაპარაკი, გვესმის მიმართვა იმ მდიდარ სომხებისადმი, რომელთაც მილიონები შეიძინეს კავკასიაში და მოვალენი არიან გაუწილადონ გაჭირვებულს მოძმეებს თავიანთი ქონება, მაგრამ სახელმწიფოსაგან გაღება ზედმეტი ხარჯისა იმ დროს, როდესაც მალიონობით იხარჯება ფული ომზედ და როდესაც თვით სახელმწიფოს ქვეშევრდომნი განიცდიან დიდს გაჭირვებას—მავნებლად უნდა ჩაითვალოს. ჯერ თავი და თავოო, ნათქვამია და სახელმწიფოც მოვალეა, ჯერ საკუთარ მცხოვრებლებზედ იზრუნოს.

საერობო საქმე და დეპუტატთა საკრებულო

არა ერთხელ ყოფილა პრესაში აღძრული საკითხი იმის თაობაზე თუ როგორ უნდა მოგვარდეს ის საერობო საქმე, რომელიც განუძრახავს სრულიად რუსეთის საერობო კავშირს—კავკასიაში. და, როგორც ვიცით, იმ საქმისათვის, ნამეტნავად დაჭრილთა ტრანსპორტების მოსაწყობთა, დიდი ფულია გადადებული და თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოც არის მიწვეული საქმის წარსამართავად. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ეს არა სცილდება ვიწრო ფარგალს და ქვეყანამ არა იცის რა, თუ რა ხდება ბელინსკის ქუჩაზედ. საერობო საქმე არ არის რაღაც ვიწრო თავად-აზნაურული დაწყობილება, რომ თვით ფართო თავად-აზნაურობასაც კი არ აინტერესებდეს და მარტო დეპუტატთა საკრებულოს ოთახებში იყოს მომწყვდეული.

მაგრამ საერობო საკითხის გარდა, უფრო ფართოდაც უნდა იყოს წამოყენებული საკითხი.

მაშინ, როდესაც მთელ რუსეთის იმპერიაში ყველა დაწესებულება სცდილობს გააფართოვოს თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და თვით მთავრობაც კი უწყობს ხელს—ამ გაფართოვებას; როდესაც რუსეთის ქალაქთა კავშირი, საერობო კავშირი, თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება და სხვანი ჰქმნიან სრულიად ახალს საშუალებათ საზოგადო გასაჭირის შესამსუბუქებლად; როდესაც ჩვენი მეზობელი სომხები აკავშირებენ ერთმანეთს ყველა თავის კულტურულ დაწესებულებათ ერთი ეროვნული პროგრამით,—ჩვენი ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელსაც ძალაც შესწევს და ვალდებულიც არის პატრონობა გაუწიოს ქვეყანას, ვინაიდან მხოლოდ ის არის აღჭურვილი მთავრობისაგან ყოველის უფლებით,—სდუმს და არავინ იცის თუ რასა ფიქრობს.

საკმარისი არ არის ორიოდე კაცის შეკრება და მათთან ლაპარაკი, ისიც ბევრჯელ ქართველ საზოგადოებისაგან უცნობისა, რომ საზოგადო საქმე გიჩარხოს. ღვთის მადლით, ჩვენ ბევრი კულტურული დაწესებულება გვაქვს, რომელთაც შეუძლიანთ თითო წარმომადგენელი მაინც იყოლიონ როგორც დამხმარე ორგანო იმ დეპუტატთა საკრებულოსთან, რომელიც თავისით ინიციატივას ვერ იჩენს და ამისთანა საშინელ დროს, როდესაც მთელ ქვეყანას ათასგვარი განსაცდელი მოელის—სდუმს და სდუმს.

ჩვენის ღრმა რწმენით, პირდაპირ ბოროტ მოქმედებაა ასეთ დროს ადამიანი აჰყვეს რაიმე პირად ანგარიშებს ან კერძო ხასიათის მოსაზრებათ და ღრმა საფუძველი არ ჩაუყაროს იმ საზოგადოებრივობას, რომელიც, უეჭველია, გაიმარჯვებს ომის შემდგომ. დეპუტატთა საკრებულო ვალდებულია შეგნებულად მოეკიდოს ეხლანდელ მომენტს და დროზედ შეეცადოს თავისსავე საკუთარს რეორგანიზაცი-

ას საზოგადოებრივი ელემენტების ზევავლენით, თუ არა სურს შემდეგში უფრო მეტად დარჩეს გარიყული ქართულ ცხოვრებისაგან, ვიდრე ეხლა არის. ის პირადი რეჟიმი, რომელიც ეხლაა გაბატონებული საკრებულოში, არაფერს კარგს არ უქადის თვით საკრებულოს და ნამეტნავად საზარალოა ქართველი საზოგადოებისათვის. მართლაც, დღევანდლამდის მთავრობისაგან არაფერი არა კეთდებოდა საქართველოში ისე, რომ თავად აზნაურობა ასე თუ ისე არა ყოფილიყო ჩაბმული ამ საქმეში და დღეს, როცა კარზედ ომია მომდგარი და განსაკუთრებით მხოლოდ ოფიციალურ დაწესებულებათა აქვთ უფლება ხალხზედ ზრუნვისა—დღეს უაღრესად ყოველი ნაბიჯი მთავრობისა შეიძლება გადადგმულ იყოს მხოლოდ თავ.-აზნ. საშუალებით. საზოგადოებას, ხალხს მხოლოდ უფლება ეძლევა შემოიკრიბოს იმ დაწესებულებათა ირგვლივ, რომელნიც არსებობენ, და მაშასადამე ახალი ინიციატივა ნება დაურთველია. ყოველი ცხოველმყოფელი დაწესებულება დღეს სწორედ ამ გზას ადგია და თუ მის ფარგლებში რაიმე სასიცოცხლო ძალის ჩანასახი არის—დღეს იკრებს მომავლის სიცოცხლის ელემენტებს. ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ყველა საზოგმდოებრივ დაწესებულებიდან მხოლოდ დეპუტატთა საკრებულო დაადგა იმ დაცემის გზას, საცა ფეხის გამოჩენა და ცხოველმყოფელ ელემენტების შემოკრება უკვე შეუძლებელი ხდება.

ამის სიმპტომატიური ნიშნები უკვე არის მართალია, როგორც მაგალითად, მოწვევა უცხო ხალხისა სხდომებზედ და ზოგიერთ საქმისათვის, ხმები იმის შესახებ რომ სატრანსპორტო კონტინგენტისათვის ხალხს იბარებენ რუსეთიდან, ახალციხიდან და სხვა და სხვ. მაგრამ ჩვენ მაინც არა გვჯერა, რომ პირადი შემადგენელობა დეპუტატთა საკრებულოსი ასეთს უნიათობას გამოიჩენდეს ბოლომდისინ.

ჩვენ არ შეგვიძლიან მოვსთხოვოთ პოლიტიკური შემეცნება რომელიმე კერძო წოდებას, მაგრამ იმ საქმის გაფართოება, რომელსაც აქამდის აწარმოებდა ჩვენი თავად აზნაურობა, სახელდობრ საეროზო საქმეებისა და კულტურულ დაწესებულებათა განვითარება—დღეს ერთი-ათად ჰმართებს, ვინაიდან დღევანდელ მომენტს შეუძლიან სრულიად დასცეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და შეუძლებელიდა იქნება შემდეგ მისი ფეხზედ წამოყენება.

 რ. გ.

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა

ომი, რომელმაც 1914 წლის შუა წელში შეარყია მთელი ევროპა და კაცობრიობა, წლის ბოლოში როგორღაც მინელდა ყველა ფრონტზედ. ეს არა ნიშნავს რასაკვირველია ომიანობის ბოლოს მოახლოვებას, მაგრამ მაინც ნათელჰყოფს საერთო დაღლილობასა.

მეექვსე თვეა რაც მილიონობით შეიარაღებული ჯარისკაცი ყოველ დღე მილიონ ოქროებს და ტყვია-წამალს ხარჯავს ერთმანეთის ამოსაჟლეტად. ევროპის ბუმბერაზი სახელმწიფონი გაავთრებულნი ებრძვიან ერთმანეთს პირველობისათვის, სისხლითა რწყავენ და გახრწნილი მკვდრებით აპატივებენ მიწას.

ასეთ ძლიერს ომს, რომელიც ძირიან-ფესვიანად აფორიაქებს ადამიანის ფსიხოლოგიას, რომელიც მძლავრად უკაკუნებს ყოველ ოჯახის კარებში დაჭრილი, მოკლული და დაგლეჯილი წევრის თითებით, რომელიც შიმშილის ლანდებს აღვიძებს მთელს ქვეყნიერობაზედ - რაღა თქმა უნდა, მოჰყვა ერთგვარი აპატია ყოველ სფეროში და ომის გარეშე აღარაფერ საკითხებს უყენებდა ადამიანს თვალწინ. ყოველი საკითხი შემცირდა, შესუსტდა, მოიკრუნჩხა დიდი, საერთაშორისო, საქვეყნო საკითხის წინაშე. და ამას მოჰყვა სწორედ ის, რომ მძიმე, ხანგრძლივი ყოფნა ერთსა და იმავე ფსიხოლოგიურ განცდაში—მეტად დამღალავი, დამსუსტებელი შეიქმნა.

თვით ბუმბერაზი მოვლენანი თითქო დაიღალნენ გამუდმებული ჭექა-ქუხილისაგან და გამეფდა ერთგვარობა, შედარებითი მშვიდობიანობა.

საფრანგეთის ფრონტზედ კვირაობით და თვეობით ირიცხება დრო საპოზიციო ბრძოლისა, როცა გამარჯვება-დამარცხებაზედ ლაპარაკი სულ მეტი ხდება. ორი მძლავრი მანქანა სდგას ერთი-მეორის პირდაპირ და სისტემატიურად ანთხევს ერთი-ერთმანეთს ტყვიასა და ცეცხლსა, მაგრამ ცეცხლმიუკარებელ ვეშაპებივით ვერაფერს აკლებენ ერთმანეთს.

აღმოსავლეთ ფრონტზედაც შესწყდა შემზარავი შემოტევა-შეტევანი და ბრძოლა გადავიდა საარტილერიო „გუნდაობაზე". აღარ ისმის საშინელი სიტყვები: „ცენტრის გარღვევა", „ფლანგების მოვლა", „ტომარა" და სხ., რომელთა შემზარავი შინაარსი იზომება ათი და ასიათასი სიცოცხლის

ელექტრონის ლამპარი—დურბანდი, რომლის საშუალებით
გერმანელები ნიშნებს აძლევენ თავიანთ ჯარსა.

მსხვერპლით, ქვეყნის აოხრებით, განადგურებით.

სამხრეთითაც, სერბიის გამარჯვებისა ავსტრიაზედ და ოსმალეთის დამარცხების შემდეგ სარიყამიშთან—ომი თითქო შესუსტდა და მინელდა. ასე რომ ყველგან შედარებითი სიწყნარე ჩამოვარდა. შორეულ აღმოსავლეთში ხომ ცინდაოს აღებით სულ შესწყდა ომი. ზღვაზედაც შედარებითი სიმშვიდეა და ამგვარად 1915 წელიწადს თითქო საერთო სიმშვიდით ვეგებებით; მაგრამ ვაი ამ სიმშვიდეს. ეს უბრალო შესვენებაა, ჰაერის ამოღებაა ომის ღმერთისაგან და ახლო მომავალში უნდა ველოდეთ უფრო სასტიკს, უფრო მწვავე ამბებს ვიდრე აქამდის იყო.

შესაძლებელია, ხანა დასვენებისა გაგრძელდეს, ძალთა მოკრებას უფრო მეტი დრო მოანდომონ სახელმწიფოებმა და გაზაფხულსაც მოუცადონ, მაგრამ ბრძოლა რომ მხოლოდ დასაწყისშია—ეს ცხადი უნდა იყოს ყველასათვის; ომი ასე მალე არ გათავდება, საუბედუროდ.

გერმანელ სტრატეგების სიტყვები, რომ გამარჯვება ნერვების სიმაგრეზეა დამოკიდებულიო, ჯერ კიდევ ძალაშია და ადამიანის ნერვები ჯერ კიდევ ბევრს აიტანენ. ჩვენ, ქართველები, თუ აქამდის ომში მონაწილეობის მისაღებად მარტო შორეულ საზღვრებზედ ვგზავნიდით საუკეთესო შვილებს - დღეის იქით თვით ჩვენ, მთელის ჩვენი სამშობლოთი, ტერიტორიით და ხალხით ვეხვევით ომის ალში და ჩვენთვისაც გამარჯვება ნერვების საკითხად იქცევა. ხალხის გამაგრება გულითა, მისი სიდინჯე, სიწყნარე ძალასა ჰმატებს იმ მებრძოლთ, რომელნიც მტერს თავს აკლავენ და ყოველივე შიშიანობას, არევ-დარევას შინაური ცხოვრებისას დიდი გამათახსირებელი გავლენა აქვს მეომარზედ; ამიტომ, ქართველი ხალხი არ უნდა აჰყვეს ხოლმე უსაფუძვლო შიშს, არ უნდა აიყარ-დაიყაროს, რომ ამით არ შეუწყოს ხელი ისედაც დაცემული მეურნეობის განადგურებას, ვინაიდან შინაურობაში გა-

მოწვეული შიში და ზარი—უნებურად აღწევს მეომრების გულამდე და ძალასაც აკლებს.

რასაც მეტს ავიტანთ შიშსა, რამდენადაც მეტს გაუძლებთ უბედურობას და გაბედვით დავხვდებით გაჭირვებასა - იმდენად მეტია შესაძლებლობა ყველაფრის აცდენისა და მომავლისათვის მომზ დებისა. ჩვენ პატარა ერი ვართ, მტრის ურდოების გადასვლა-გადმოსვლა ძალიან შეგვავიწროებს და მხოლოდ გონიერ აწონ-დაწონვას ყოველი ნაბიჯისას შეუძლიან დაგვიფაროს სრული განადგურებისაგან. შიში კი ამ შემთხვევაში ცუდი მრჩეველია.

მაშ არ მოგილოცავთ ახალ წელიწადს და არ გისურვებთ გოზინაყებსა, ძვირფასო მკითხველო, არამედ გონიერებას და ნერვების სიმაგრეს ყოველი უბედურების ასატანად.

კე. დ—ელი.

ბ რ ე ს ა

«გაზეთ „მშაკის“ № 290-ში დაბეჭდილია აღშფოთებული წერილი სამსონ არუთინოვის და კნ. მარიამ მარკოზის ასულის თუმანოვის წასვლის შესახებ ქალაქიდან.

„ს. არუთინოვი და კნ. მ. თუმანოვისა, რომ სათავეში არ უდგნენ საპასუხისმგებლო და დიდ დაწესებულებათ, არავის ექმნებოდა უფლება გაერჩია მათი პირადი საქმეები, ვერავინ გაუწევდა კრიტიკას მათს საქციელს, როდესაც ისინი გაიქცნენ სასირცხვილო შიშით შეპყრობილნი.

საუბედუროდ, მათ თავი მოაქვთ, როგორც სერიოზულ ეროვნულ საზოგადო მოღვაწეთ, და თავში უდგანან ზოგიერთ მნიშვნელოვან საზოგადო დაწესებულებათ.

ს. არუთინოვი თავჯდომარეა იმ ბიუროსი, რომელმაც სახელად „ნაციონალური ბიურო“ დაირქვა. ამ ბიუროს სათავეში უდგანან ისეთი პირნი, რომელნიც საფრთხის დროს სიმამაცის მაგალითს უჩვენებდნენ სხვებსა და არა ჰყრიდნენ საქმეებს ღვთის ანაბარად... საფრთხის დროს თავმჯდომარე და მდივანი ბიუროსი გარბიან ქალაქიდან, გარბის ხაზინადარიც ამ დროს მოდიან ამშტარხანიდან მოხალისენი და არ იციან ვის მიმართონ...

ადამიანს, რომელსაც შეუძლიან თავისი პირადი საქმეები უფრო მაღლა დააყენოს საზოგადო და ეროვნულ საქმეებზედ, უფლება არა აქვს არც მორალური არ იურიდიული სათავეში უდგეს ნაციონალურ საქმეს - მას არ უნდა ჰქონდეს არც კერძო ინტერესები, არც პირადი საქმეები.

დიახ, თვით ცხოვრება ხშირად ნიღაბსა ხდის ადამიანის შინაგან ცხოვრებას, მის ღირსებას და სულსაც კი.“» (ზ. რ.)

ასე სამართლიანადა სწუხს პატივცემული სომხური გაზეთი „ეროვნულ რაინდის“ შერცხვენას. და ჩვენც ვუერთებთ მას ჩვენს თანაგრძნობას, როგორც თანამოკალმენი, მაგრამ არ შეგვიძლიან არ მოვაგონოთ „მშაკსა“, რომ განა ასევე არ მოიქცნენ ძმ. ალიხანოვები, რომელთაც სირცხვილეულად ღასტოვეს კიდევ ერთი დაწესებულება, სახელდობრ მუსიკალური სასწავლებელი, საცა უპატრონოდ და უჯამაგიროდ დარჩა მთელი სასწავლებელი და მასწავლებლობაც? განა ასევე არ მოიქცა დოლუხანოვი და tutti quanti? აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სომხის ერს, მის ხალხს და ნამდვილ ეროვნულ პატრიოტულ დემოკრატიას არასოდეს არ უნდა აეშენებინა თავისი ბედი იმ მსხვილი ბურჟუაზიის ლაპარაკზედ, რომელიც თამამია მხოლოდ იქამდის, სანამ საფრთხე არა მოელის რა ან პირადი, ან ქონებრივი.

ღმერთმა გვაშოროს გამეორება იმ საფრთხისა, თორემ მარტო მაგისთანებს არ დავინახავთ ჩვენა და შეძლებული კლასი მთლად გაიპარება ქურდულად, რადგან მისთვის პატრიოტიზმი და ხალხის სიყვარული--მხოლოდ სარჩოს საკითხია.

„შ ა დ რ ე ვ ა ნ ი“

ქართულს პრესას მოემატა კიდევ ერთი თანამოძმე „შადრევანი“, რომლის პირველი ნომერი, ფრიად საინტერესოთ შედგენილი გამოვიდა ამა წლის 22 ქრისტეშობისთვეს.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თამამი და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სიტყვა ყოველმხრივ პასუხს აძლევს თანამედროვე საკითხებზედ და უსურვებს გაძარღვებას ამ ძარღვედ აღებულ გეზზედ.

პირობების მიხედვით, სარედაქციო წერილს, ცოტა არ იყოს ბუნდოვანობა ემჩნევა, მაგრამ მისი თვალსაჩინო ადგილები მაინც მოწმობენ საღი აღლოს ართმევას ჩვენი ცხოვრებისას. „მთელის ჩვენ იმედებს საზოგადოების წინსვლისას და ეროვნული განახლებისას ვამყარებთ საზოგადოების ფართო დემოკრატიულ წრეებზე და მათს პოლიტიკურ-კულტურულ ამაღლების დიად და წმინდა საკურთხეველზე მიგვაქვს შეძლების დაგვარად მსხვერპლ საერთო თანამოაზრეებთან ერთად“—ამბობს სრული გულწრფელობით და სინამდვილესთან მიახლოვებით ახალი რედაქცია. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამონაწერის უკანასკნელი სიტყვები, ვინაიდან ეს ახალი იერია ამ ბანაკის სიმღერებში, რომელთაც ქართული ზოგი ძალად და ზოგი მართლაც ეროვნული ჯგუფები—ერეკებოდნენ საზოგადო ასპარეზიდან. სრული იმედია რომ ეს ახალი იერი ხიდათ გაედება მოპირდაპირე ლაშქრებს და რადგან ხიდი მხოლოდ აერთებს ხოლმე ნაპირებს საჭიროებისა დაგვარად და კი არა სთქვეფავს მათ,—ეს ახალი ხიდიც თავისუფლადა სტოვებს სხვა და სხვა ნაპირების განვითარებას. უკანასკნელს უფრო მკაფიოდ ახასიათებს მეორე ადგილი წერილისა, სადაც ნათქვამია, რომ „გაზეთი ენერგიულად ეცდება მხარი დაუჭიროს გაცნობიერებულ წრეების მართლა შეგნებულ მიდრეკილებებს და დაფანტულ ძალთა თავის მოყრას.“

ეს ფრიად მძიმე ტვირთი, ცოტა არ იყოს ძნელი საზიდი ხდება ახალ თანამოძმისათვის, მაგრამ იმედია რომ თანამედროვე დიადი მომენტი, რომელსაც ყველა მხარე ერთნაირის სიმწვავით განიცდის—ხელს შეუწყობს პრაქტიკულ საკითხებში გაერთიანებას.

მეთაური წერილი „შადრევანისა“, რომელიც აქვე მოგვყავს უცვლელად, კონკრეტულად აყალიბებს ზოგიერთ იმ აზრს, რომელიც უკვე გამოთქმული იყო ქართულს პრესაში და მით ამაგრებს საერთო საფუძველს:

არის ისეთი ისტორიული წუთები ხალხის ცხოვრებაში როდესაც ყველა ერი ერთი მწვავე, ყველაფრის დამჩრდილავი. ფიქრით არის გატაცებული, როდესაც ყველას გულში ერთი ცეცხლი ტრიალებს და ერთს საზრუნავს დაუფარავს საზოგადოებრივი გონება. ასეთი დიდი ისტორიული წუთის მოწამენი გხდებით დღეს ჩვენ, როგორც მოქალაქენი და ქართველები და მდგომარეობა გვავალებს ფხიზლად, ახნედ, თავდაჭერილად და შეგნებით ჩავხედოთ თვალებში დიდებულ განსაცდელს და დავამტკიცოთ, რომ ახლანდელი თაობა ღირსია საქვეყნო პასუხის მგებლობის ტვირთვისა.

ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით ოსმალეთის ჯარი მოაღწევს ჩვენ ისტორიულ დედაქალაქამდე, თუ შეჩერებულ იქნება არტაანიდან თავის საზღვრებისაკენ, ხოლო უმწვერვალესად საჭიროა ყოველ შემთხვევისათვის მზად ვიყვნა და პოლიტიკური გადაწყვეტა მოკლეობის შეგნებაში და საკუთარი არსებობის უზრუნველსაყოფად.

მთელი ჩვენი არსებით უარვყოფთ ყოველგვარ განზრახვას მცხოვრებთა შეიარაღებისას სამხედრო ამბებში ჩასარევად და პატრიზანული ბრძოლის ამა თუ იმ სახით გასაჩაღებლად. ეს აკრძალულია ომის კანონებით და ამავე დროს უდიდესი უბედურების, დაუნდობელ განადგურების და სულიან-ხორციანად გაქელვის მომასწავებელია. არავინ გაბედოს ასეთი სისხლით მქშინავი სიბრიყვე, რომელიც ხალხის ღალატი და წარუხოცველი ბოროტ-მოქმედება იქნება.

ქვეყნის სამხედრო დაცვა ჯარის საქმეა. ჩვენ იმედი გვაქვს სამხედრო განსაცდელს სახელმწიფო აგვ ცდენს. ჩვენ სხვა შინაურ სამოქალაქო და ეკონომიური საქმეების მშვიდობიან გაძღოლას მივმართოთ და ამავე დროს მზად ვიყოთ ყოველ მოსალოდნელ გართულების ღირსეულად შეხვედრისათვის.

ახალი გაზეთი ეხება სხვათა შორის სომხეთის საკითხსაც და მხოლოდ ობიექტიურად აღნიშნავს იმ სამ მიმართულებას, რომელიც არსებობს ამ საკითხში: ავტონომია ოსმალეთში, ანექსია და რეფორმები. ჯერჯერობით ამ საკითხზედ საკუთარი აზრი „შადრევანისა“ გამოუმჟღავნებელი რჩება და ამას დისონანსი შეაქვს პირველი ნომრის გადაჭრილ

კრედოში. ჩვენ გვესმის სიფრთხილე, გვესმის „ეროვნებათა სოლიდარობის“ პრინციპიც, მაგრამ დღევანდელი მომენტი აუცილებლად მოითხოვს პასუხს კონკრეტულ მოვლენებზედაც და არა მარტო პრინციპიალურ მოსაზრებულებათა გამოქვეყნებას

—

უფრო მკაფიოდ და შეგნებულად შეეხება გაზეთი თანამედროვე ომის მიზეზებს, მის მატერიალურ საფუძველს—კაპიტალისტური წარმოების და სახელმწიფოთა კონკურენციის შინაარსს. ამ მხრივ, მართლაც ძნელია კამათი და უარყოფილი უნდა იყოს „რასიული მეტოქეობა“, მაგრამ ვერავინ დაივიწყებს იმ მთავარ იდეას, რომ საერთო ნგერვის დროს გაიმარჯვა ეროვნულმა პრინციპმა: მთელ ქვეყანაზედ გამოაშკარავდა ის მოვლენა, რომ **ერი, ეროვნება** ერთად ერთი უჯრედია, რომელიც თხოულობს სრულს განთავისუფლებას, რომ მშვიდობიანი განვითარება შეეძლოს. მხოლოდ ერთა შიდაკავშირი შეიქმნა დედაბოძად თანამედროვე ბრძოლისა. ეროვნულმა იდეამ და გრძნობამ შესძლო გაერთიანება ისეთი მოწინააღმდეგე ჯგუფებისა ერის ფარგლებში, რომელნიც ერთი-ერთმანეთის სისხლსა სვამდნენ. მხოლოდ ეროვნულმა იდეამ და გრძნობამ განთიშა ისეთი კლასები და ჯგუფები, რომელნიც სხვა ერთა **იმგვარივე** ჯგუფებსა და კლასებზედ ამყარებდნენ თავიანთ იმედებს. დღეს ბუნებრივი კრისტალიზაცია ხდება ერებისა თავიანთ ბუნებრივ ფარგლებში და ისპობა ომის ზეგავლენით კრისტალიზაცია კლასების მიხედვით. კლასთა ბრძოლა არასოდეს არ მოსპობილა და კვლავაც დარჩება რასაკვირველია, მაგრამ იგი იტრიალებს ეროვნულ ფარგლებში, რადგან საერთო გასაჭირმა ნათელჰყო ის აზრი, რომ უფრო მახლობელია იმავე ერის მაგრამ სხვა კლასის ნაწილი, ვიდრე იმავე კლასისა და სხვა ერისა.

და ჩვენც თუმცა გვჯერა მატერიალური მიზეზები ომისა,—მისი მთავარი საძირკველი, მაგრამ ვერავინ უარჰყოფს იმასაც, რომ ეროვნული თვალსაზრისი იზიდავს დღესა მთელს მსოფლიო ენერგიას.

დასასრულ, ვუსურვებთ სიცოცხლეს ახალს თანამოძმეს და სიამოვნებით ხელს უწვდით საერთო მოქმედებისათვის.

ღენერალი გინდენბურგი და მისი შტაბი პოლონეთში

ფრანგის მოტოციკლისტმა გაასწრო ჩასაფრებულ გერმანელებს და ამბავი მიაქვს უმფროსთან.

საბედისწერო ომი სარიყამიშთან

ის საარაკო გამარჯვება, რომელიც რუსეთის ჯარებს წილად ხვდა ამ დღეებში სარიყამიშთან, მართლაც სასწაულად უნდა ჩაითვალოს; ომის ღმერთის ყინულოვან ღიმილად და მართლაც, ეს გუშინ იყო რომ თბილისის ცხოვრება აიშალა, გუშინ შეხედავდით შეშინებულ ხალხს, როგორც კაკანათში მომწყვდეულ ჩიტს, რომელიც სასოწარკვეთილებით ეხეთქება მავთულებს, რომ გასავალი იპოვოს და უშველოს თავსა. და დღეს... გამარჯვების შარავანდედი მოჰხვია ქალაქს, ყველა კმაყოფილია, ყველას უხარიან. რა მოხდა, რამ გადმოხარა გამარჯვების ისარი გუშინდელ თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისულ ჩვენს მებრძოლთაკენ? რაშია საქმე?

რომ ამ კითხვებზე ვუპასუხოთ, საჭიროდ მიმაჩნია მებრძოლთა პოზიციები განვიხილოთ ომამდე და თვით ომის დროსაც.

სარაყიმიში, ბრწყინვალე გამარჯვების სადღეისო ასპარეზი, ისტორიულად თითქმის ყოველგვარს ინტერესს იყო მოკლებული, რა სახსენებელია იგი, როდესაც ძველად ჩვენ ვხვდებით ისეთი სახელოვანი ციხის სახელი, როგორიც არის ყარსი. რუსეთმაც, მთელი ამ მხარის დაპყრობის შემდეგ, ისევ ყარსს მიაპყრო ყურადღება, მას ამაგრებდა ყოველ წელს თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად. ყარსი ბუნებრივ გასაღებად ითვლება და სტრატეგნიც თითქმის სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ მტრის რისხვის მეხი ისევ ამ ციხეს უნდა დას-

ტეხოდა. არზრუმიდან აქამდე მხოლოდ ერთი გზაა, მაშასადამე, მტრისგან გამოტყორცნილ ისარს არზრუმიდან უნდა გაევლო ჰასან-ყალა, ქეფრიკეი, ყარაურგანი, სარიყამიში და შეჰხეთქებოდა ყარსის სიმაგრეს.

აი, ამიტომ იყო, რომ რუსის ჯარი დღიდან ომის გამოცხადებისა, პირდაპირ ამ გზით გაეშურა, გადაჰქროლა ოსმალთ საზღვრები, გზად შეხვედრილი სოფლები აიღო, ვიდრე ქეფრიკეის სახელოვანი ომი არ მოჰდა, სადაც რუსების ჯარი იძულებული შეიქმნა უკუქცეულიყო და თავის საზღვრებში შეკეტილიყო მტრის შესახვედრად. ახლა თავის მხრით რუსის მხედრობა არზრუმის ცეცხლს სწორედ ამ გზით მოელოდა და ფიქრადაც არ მოსვლია ოლთიჩაის გეზი, როგორც მიყრუებული მხარე და მტრისგან მიუვალი ადგილი. მართლაც, მთელი ეს მხარე მთა-გორიანი და ხევ-ხუვიანია, აქეთ ჯარის გადმოყვანა უგუნურებად ითვლებოდა. მაგრამ მოხდა ის, არ მოელოდნენ.

ღვინობისთვის ბოლო რიცხვებში და გიორგობისთვის დასაწყისში მტერმა სწორედ ამ მხრით იჩინა თავი და რამდენიმე შეტაკება მოხდა, თუმცა არც ერთს მათგანს სერიოზული მნიშვნელობა არა ჰქონია. 6—7 გიორგობისთვეს კავკასიის შტაბის ოფიციალური ცნობებით ოსმალნი გარეკილნი იქმნენ ოლთიჩაის წელიდან არზრუმისაკენ. ამის შემდეგ თითქოს სიჩუმე ჩამოვარდა, ხოლო 9 ქრისტ. იმავე შტაბის ოფიციალური ცნობით ომი განახლებული იქმნა უფრო ფართო სახით, ვიდრე წინად, შემდეგ ოსმალებმა არა თუ გადასჭრეს მთელი ოლთიჩაის ოლქი, არამედ თვით არტაანის ოლქშიაც შემოიჭრნენ საკმაო ძალით, რომლის შეჩერება რუსებმა მოახერხეს მდ. ლაურსინის ნაპირებთან. აქედან ოსმალთა ლაშქარს ერთი ნაწილი გამოეყო აღმოსავლეთით ჩაჲაქი და ბარდუსი დაიჭირა, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაეშურა, რომ სარიყამიში გამაგრებულ რუსის ჯარს უკანიდან დაჰსხმოდა თავზე. მაშასადამე ოსმალთა ომის ოპერაცია, რომ ნაწილი არტაანისაკენ გაისტუმრეს, მხოლოდ თვალთმაქცური მანევრები იყო, რომ მთელი ძალით მოულოდნელად თავზე დასხმოდნენ სარიყამიშელებს. ოსმალთა სწრაფი მოძრაობაც იმასა მოწმობს, რომ ოლთიჩაის მხრით მათ მძიმე იარაღი არ ჰქონიათ, უფრო ქვეითი ჯარი მოქმედებდა.

ამ ომის გეგმას, რომელსაც ენვერ-ფაშას აწერენ, რუსეთის გაზეთები გენიოსურ მოსაზრებადა სთვლიან. ოსმალთა გამარჯვებაო,—ამბობენ სატახტო გაზეთების მიმომხილველნი, უეჭველია დიდი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, რომ მათი გეგმის საიდუმლოება დროზე არ გამომჟღავნებულიყო დ სწრაფად ემოქმედნათო, მაგრამ რაკიღა დროზე აუღეს ალღო რუსებმა, სათანადო ზომები მიიღეს და ომიც ნორმალური გზას დაადგა ახლა დილემა ასეთი იყო: ან განადგურდება რუსის ჯარი, ან და ოსმალეთისა. პირობა—გაძლებაა: ვინც მეტს გასძლებს, ის გაიმარჯვებს. თუ რუსის ჯარი დამარცხებულიყო, ოსმალოებს ველარა შეაჩერებდარა და ჩვენს დედა-ქალაქსაც რამდენიმე დღეში ეწვეოდნენ. აი, ამ გარემოებამ გამოიწვია ის აურ-ზაური და საშინელი პანიკა, რომელიც მოხდა თბილისში. მაგრამ ბედი შეტრიალდა რუსების სასარგებლოდ. რაც უნდა იყოს, რუსები უფრო ხელსაყრელ პირობებში იყვნენ. მათ ჰქონდათ რკინის გზა ყარსიდან სარიყამიშამდე ასე რომ დროზე შეეძლოთ მიეღოთ სურსათიც და სამხედრო ხელსაწყო იარაღიც, მაშინ როდესაც ოსმალთ უკან გაღრიანცებული მთა-გორაკების მეტი არა დარჩენოდათრა. ოსმალთა გამარჯვება დიდს სისწრაფეზე იყო დამოკიდებული, მაგრამ რაკი ეს ვერ შესძლეს, მასთან სურსათი შემოაკლდათ და ტყვია-წამალი; თვითვე მოეჭრათ გზა და საშინელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რასაც შედეგად მოჰყვა ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელსაც მთელმა ქალაქმა ბაირაღების გაშლით იდღესასწაულა.

დიოგენი.

ქართული ეროვნული ჩაცმულობა

(ქართულ დრუჟინის გამო)

საზოგადოების განვითარების ისტორიაში მოქმედობს ორი მთავარი ფაქტორი ანუ ძალა: ძალა დამრღვევი, მაძიებელი, რომელიც ილტვის ახალის ფორმისა და მდგომარეობისადმი და ძალა უძრავი, მარადი ფორმის დამცველი—კონსერვატიული

ამ ორ ძალის ურთიერთობაზეა დამყარებული ესა თუ ის სოციალი სტრუქტურა, ხოლო ამ ურთიერთობისაგან გამომდინარეობს საზოგადოების სათანადო მოქნილობა, შეგუების უნარი, ერთის მხრივ სიმაგრე, გამძლეობა მეორის მხრივ.

ფაქტორი პროგრესიული და ფაქტორი კონსერვატული ისე უნდა ურთიერთობდნენ, რომ პირველი თვისის მედგარის, ჭარბის ლტოლვით არ მოსწყდეს თვის დასაბამ ფუძეს, ხოლო მეორე გარდა მეორის უძრაობითა და ინერციით არ დააქვნოს და არ გამოულიოს ცხოველი სული მეორეს (პროგრესს).

სწორედ ამგვარის შეხამებით ამაყობს თანამედროვე კულტურა ევროპისა, სადაც ისე მშვენივრად არის შეზავებული პატივისცემა ძველისა და ლტოლვა ყოველივე ახალისადმი, სადაც ძველ ციხე-კოშკს ისეთივე მზრუნველობით თავს evლებიან, როგორითაც მეცნიერის უკანასკნელ გამოგონებას.

და რაც უფრო სრულია ეს შეხამება პროგრესისა და კონსერვატიზმისა, მით უფრო მდიდარია ქვეყანა ფორმისა და შინაარსის მხრივ. ხოლო უპირატესობა რომელიმე ამ ძალთაგანისა აუცილებლივ მოასწავებს ამა ქვეყნის კულტურის ფორმისა და შინაარსის სიღარიბეს.

მოიგონეთ რა ნაყოფი გამოიღო ამგვარმა შეზავებამ ინგლისსა და გერმანიაში, სადაც ძველი და ახალი ისე მჭიდროთ არის გადახლართული, პოლიტიკურ წყობილებასა და ზნე-ჩვეულებაში. რუსსლავიანების საყვედური პეტრე დიდისადმი სწორედ მის მიერ ყოველივე ძველის განადგურებაში გამოიხატება.

პეტრე დიდამდე რუსეთი გაყინული იყო ბიზანტიურ-მონგოლურ უშინაარსო ფორმაში, ხოლო პეტრე დიდის რეაქცია ისეთი მძლავრი გამოდგა, რომ მის მიერ ეროვნულ ფუძეს მოწყვეტილი რუსეთი, დღესაც ამაოდ ლამობს მისცეს თვის სულიერ არსებობას რაიმე სიმტკიცე, თავისებურობა და გამძლეობა: (ცნობილია რომ რუსეთში მსოფლმხედველობა და აზროვნება ყოველ ათ წელში იცვლება.) ჩვენსა და რუსებს შორის დიდი ფსიხოლოგიური მზგავსება სუფევს, გამოწვეული ანალოგიურის საზოგადოებრივის ისტორიით და მიტომ არის რომ ჩვენ ასე ადვილად ვეგუებით ყოველივე რუსულს.

რუსეთსავით, მეცხრამეტე საუკუნემდე, ჩვენც ვიყავით გაყინული ერთს ეკლესიურ, ფეოდალურ ფორმაში; რუსეთსავით, ჩვენც უცბად ისე მძლავრად მოგვწყვიტეს ეროვნულს დასაბამ ფუძეს, რომ მას შემდეგ დავფრინავთ ქარისაგან ატაცებულ ბურბუშელასავით და ჩვენში არამც თუ ათ წელში ერთხელ იცვლება აზროვნება, არამედ წამს რომ იბადება, იმ წამსვე ჰქრება.



გერმანელების ხერხი

მორტირების მაგიერ გერმანელები აყენებენ ცარიელ ბოჩკებს მტრის მოსატყუებლად.

ამგვარ ყოფაში საზოგადოება, არამც თუ ყოველივე ძველს ივიწყებს, იმისდა მიუხედავად კარგია იგი თუ ცუდი, არამედ ახალის რიგიანად შეთვისებაც ძლიერ უძნელდება, რადგან ახალს მხოლოდ მაშინა აქვს ძალა, როცა იგი დამყნილია ძველზე.

თქმა არ უნდა რომ, ძველის ამ საყოველთაო მივიწყებაში, ჩვენს საზოგადოებას მიავიწყდა აგრეთვე ჩვენი ძველი ეროვნული ჩაცმულობის სანახაობაც, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ერის საუკუნოებრივ თავგადასავალთან.

არცოდნა ერის ისტორიისა, არცოდნაა ეროვნულ ჩაცმულობის ფილოსოფიისა. ამიტომ არის რომ ამ საგანში ხშირად ჩვენ ისეთ უცოდინარობას ვიჩენთ, ისეთის გულუბრყვილობით ვურევთ ერთმანეთში ელემენტებს ჩვენისა და უცხო ეროვნების ცხოვრებისას, რომ კაცი გაკვირვებას მოდის.

შეეკითხეთ ვინ გინდა ქართველს, ქართულ ეროვნულ კოსტუმის შესახებ, ის უყოყმანოდ მიგითითებთ ან ჩერქეზულ ტანისამოსზე, ან არა და ცირკსა და ბალაგანებში შემუშავებულ გემოვნების ნაყოფს—ქულაჯაზე, იმ ქულაჯაზე რომელიც ჩვენ პაპებს ზამთარში **ჩოხ ს ქვეშ** სათბურად ეცვათ და რომლის ამარა გარედ გასვლა ისეთივე უხერხული იყო, როგორც დღეს ჟილეტის ამარა გარედ ან სტუმრად წასვლა.

ისტორიას რომ თავი დავანებოთ, საკ რისია გავითვალისწინოთ თუ რარიგად უყვარს ჩვენ ხალხს დღესაც თალხი ჩაცმულობა და რომ მისის წარმოდგენით აჭრელებული ჩაცმულობა, ველური, უკულტურო ხალხების თვისებაა, ან როგორ შეჰფერის ჩვენი ხალხის დინჯ ხასიათს, ძველის კულტურით გაფაქიზებულ მის გემოვნებას და ულმობელ ისტორიის ზეგავლენით ცოტა გულ-ჩახურულობას ეს რაღაც საპაჰპულო ტანისამოსი: ყვითელი ჩექმები, ცისფერი შარვალი და წითელი ქულაჯა.

სად ან ვის უხმარია ეს უცნაური ჩასაცმელი ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, თუ არ თეატრსა, „პაჩოტნი კარაულსა'' და კონცერტებში, იქ სადაც, რაც უფრო არაბუნებრივი და ხელოვნური ჩაცმაა, მით უმჯობესია? ერთ მოხუც ქართველ თავადიშვილს რომ შევეკითხე: „უწინ ქულაჯით დადიოდნენ მეთქი“? მან მითხრა—„რასა ბრძანებ, ყმაწვილო, განა ვინ ეჩვენებოდა ქუჩასა გინდ ოჯახში ისეთ ჩასაცმელში, რომელშიაც, უკაცრავად პასუხია, კაცს უკან ტანი და ტლოკები უჩანსო“.—„ეს მერმინდელი გამოგონება არისო“, დაუმატა მან.

მართლაც ქულაჯამ თავად აზნაურობის ცხოვრებაში ისეთივე გარდამავალი როლი ითამაშა, როგორიც გლეხობისაში ახალუხმა: გლეხებმაც ჯერ თავიანთი ქართული ჩოხა დაამახინჯეს, შემდეგ ხმარებიდანაც აიკვეთეს და დადიოდნენ ახალუხის ამარა, ახლა ახალუხიც გადააგდეს და შემოიღეს „ხალათი“ და „პინჯაკი“.

თუ ფორმისა და მოყვანილობის მხრივ ქართული ჩაცმა-დახურვა სხვა და სხვა წოდებაში ბევრი არაფრით განსხვავდებოდა, სამაგიეროდ ქსოვილებისა და სამკაულების ღირებულების მხრივ კი დიდად.

საერთო ყველა წოდების ჩაცმას ისიცა ჰქონდა, რომ ყველა ეხლანდელივით თალხათ იცვამდა, მხოლოდ სარჩულებსა და ქვედა ჩასაცმელებში თუ იყო მიღებული ფერადის ხმარება.

როცა ქართული სოციალი წყობილება, შემუშავებული საუკუნეთა განმავლობაში, დაინგრა, მასთან ერთად მოიშალა ძველი ქართული მანერა ცხოვრებისა და მაშასადამე ჩაცმისაც.

ვიდრე განვიხილავდეთ ჩვენი ჩაცმულობის ევოლიუციას მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან (როდესაც იგი შეირყა) დღემდე, ჩვენ მას ავსწერთ საერთოდ და ნაწილობრივ და შემდეგ აღვნიშნავთ, როგორის თანდათანობით ქართული ჩაცმა ჯერ ჩერქეზულ ჩაცმათ გადაიქცა, მერე რაღაც შერეულ აზიურ-ევროპულად და ბოლოს მშვიდობით დასრულდა ევროპულ ჩაცმის შემოღებით, თვით უკონსერვატიულ ელემენტში, როგორიც არის სოფლის გლეხობა.

თქმა არ უნდა რომ ქვემოთ აწერილი კოსტუმი ერთნაირი არ იყო საქართველოს დასაბამიდან დღემდე, ხოლო ის რასაც ვეძახით ქართულ ეროვნულ ჩაცმულობას, გამეფებული იყო მეთვრამეტესა და მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე, ხოლო ათასში ერთი კერძო პირიც თითო-ოროლა დღესაც დადის მასში.

ამ წერილში, არც იმას გამოუდგებით თუ ვის ან რის გავლენით შემუშავდა სწორეთ ეს ტიპი ჩაცმისა, ან სხვა ერთა ეროვნულ კოსტუმების რიგში, სილამაზის მხრივ რა ადგილი უკავია მას.

აქ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ისტორიული სინამდვილე და ფოტოგრაფიული სურათი ქართულ ეროვნულ ჩაცმულობის.

საერთო სურათი ქართულ კოსტუმისა ამგვარი იყო: შავი მაუდის მოკლე (მუხლამდე) ჩოხა, წოდებული „კაბათ“, წელთან ორ ზონრის კვანძიან ღილით შეკრული, და მხრებზე ყურთ მაჯებ შეყრილი; განიერი მაუდისა, ან აბრეშუმ-ნარევ შალის შარვალი, ჩაკეცილი მაღალ-ქუსლიან და გრძელ წვეტიან ჩექმებში და უკან ჩექმიდან ჩამოშვებული; მაღალი ბუხრის ქუდი, გვერდზე ჩატეხილი.

უნდა აღვნიშნოთ რომ ყურთმაჯებთან მთელი ეტიკეტი იყო დაკავშირებული, მაგალითად: უნცროსი რომ უმფროს შეეყრებოდა, ნიშნათ პატივისცემისა და მორჩილებისა ყურთმაჯებს მხრებიდან ჩამოიყრიდა,

ყურთმაჯების მკლავებზე შებმა და წვერმოუპარსველობა ბლოვის ნიშანი იყო.

დიდ როლს თამაშობდა ყურთმაჯების მოძრაობა, მხრიდან-მხარზე გადაგდებ-გადმოგდება ხან ცალისა და ხან ორთავის დაშვება და კვლავ მარებზე შეყრა არშიყობის დროს, ეს ყურთმაჯთა თამაში ერთგვარი ანბანი იყო სიყვარულისა.

მოგეხსენებათ, რომ უწინ ვაჟკაცის სახელისათვის მარტო ხმლის მჭრელობა არა კმაროდა, საჭირო იყო, რომ იგი კაი მსმელიცა ყოფილიყო, და აი, გაჯიბრებული ვაჟკაცნი რგვლათ ჩაჯდებოდნენ, გადაბამდნენ ურთიერთის ყურთმაჯს და ბა კაიკაცი ხარ და ნუ ღალეე მოყრილ ჯიხვებს.

ყურთმაჯების ფრიალსა და ჩქრიალს დიდი მნიშვნელობა ქონდა ჯირითის დროსაც - ერთგვარი „შიკი“ იყო,

ძნელია ჩამოთვლა ქართული ეტიკეტის ყველა იმ შემთხვევისა სადაც ყურთმაჯებს დიდი როლი ეკავათ.

დავუბრუნდეთ ისევ კოსტუმის განხილვას ნაწილობრივ:

1) როგორც მოვიხსენეთ ჩოხა, მოკლე, უმასრო წოდებული „კაბათ“, ოქროს ზორნით გარს შემოვლებული, საყელო უკან სწორი, ერთი გოჯის სიმაღლე, და წინ ირიბათ თანდათან წვრილად ჩამოტანილი, ქობა ხავერდისა წელამდე. გულის პირი ღია, ფართე, ასე რომ ქამართან იკვრობა ორის ან მეტის კვანძით, კალთები უკან წელზე ხშირად დანაოჭებული, ხოლო წინ სწორი, სახელოების მაგიერ—ყურთმაჯები, ყოშიანები, ქობა ზორნიანი და ფერად აბრეშუმ სარჩულიანი.

თავად აზნაურობა და მოქალაქენი კაბას ხმარობდნენ მაუდისას მიღებული ფერი: შავი, იშვიათად მუქი ლურჯი და მუქი ყავის ფერი ოლო, ყურთმაჯებს სარჩული ფერადი აბრეშუმისა.

გლეხებს ეცვათ იმავ სიგრძისა და მოყვანილობის ჩოხები, გარდა ყურთმაჯებისა რომელნიც მისოვის შრომის დროს შემაფერხებელი იქნებოდა. ამის გარდა გლეხობა ზედ ჩოხაზედ იკეთებდა მასრებს, თუმც სასწრაფოებსაც ხმარობდნენ. ჩოხას იკეთებდნენ შინ ნაქსოვ შალისაგან, იშვიათათ აქლემის ყელისას, მიღებული ფერი: შავი, ნაცრისა და ყავის ფერი, როგორსაც ეხლა თუშ-ფშაველები ხმარობენ. იმ დროის პატრიარქალურ გლეხის ოჯახის თავიც უსათუოდ გამოჩენის დროს ყურთმაჯიან ჩოხას ხმარობდა.

მოქალაქენი თავად-აზნაურობასთან შედარებით უფრო გძელს კაბას ხმარობდენ, შაუკრავსა, ასე რომ ქამარს ახალუხზე იკეთებდნენ. სახელოებს ნამეტან გრძელებს. კაბას საზოგადოთ ჯიბე არ ქონდა, ხოლოთ გაჭრილი იყო ახალუხის ჯიბის გასწვრივ.

2) ახალუხი მოკლე, ასე რომ კალთა წელიდან მტკაველზე ცოტა მეტი იყო, უკან ძალიან დანაოჭებული და გვერდებზე ორი ჯიბე, მთლათ ზონარ შემოვლებული, ზამთარში ბამბა დადებული და ხელოვნურად დალიანდაგებული, საყელო უკან სწორი, წინ რგვლათ შემოჭრილი, ასე რომ ყელის ყანყრატო ძირამდე ყელ-ამოჭრილი პერანგში უნდა გამოჩენილიყო. სახელოები ვიწრო, ყოშებიანი. ახალგაზრდობა ახალუხს წელამდე შეუკრავს ხმარობდა, ასე რომ მკერდზე ფერადი პერანგი ჩანდა, ხოლო მოხუცნი იქამდე შეიკრავდნენ რომ პერანგის პირი და ყელი მაინც უნდა გამოჩენილიყო.

ქართული ახალუხი ღღესაც ითქმის უცვლელად არის შენახული ჩვენს გლეხებში.

სამთავე წოდება ერთ ფორმის ახალუხებსა ხმარობდა, ხოლო თავად-აზნაურობა და მოქალაქენი შალისას, აბრეშუმისას, დიბისას და ქირმანიშლისას რომ აკეთებდნენ, გლეხობა ჩითისას და ლეინისას (სქელი სატინის მაგგვარი), ხოლო ახალუხის ქვეშე პირველნი მოვის ფერად პერანგებს, ხოლო გლეხობა მილიხას, ამერიკისას, ხშირად გულზე შავ გადაკრული.

3) ქართული შარვალი ძალიან განიერი, ხონჯრიანი, ჩექმა'ა, პაიჭსა და საცვეთში წინ ჩაკეცილი ჩასაკრავით ჩაბმული და უკან ჩაშვებული, მაუდისა, შალისა, აბრეშუმისა ზაფხულში, ლურჯი ამერიკისას, საზოგადოთ შავისა ან მუქი ფერისა.

4) ყარაბაღული მაღალ-ქუსლიანი და ნალიანი ჩექმები, წინ გრძელი და ფეხისკენ წამოზნეული წვეტით (არ მახსოვს რა ქვიან). გლეხები და ღარიბი მოქალაქენი სპარსული ჩუსტებს ან ქალავნებს, ხოლო პაიჭს ზევიდან ქართული ტყავის საცვეთები ევროპული გეტრების მინაგვარი.

ვინმე სოფლელი.

(შემდეგი იქნება).

ᲤᲐᲣᲡᲢᲘ

(გაგრძელება)

სამეცადინო ოთახი.

ფაუსტ (შემოდის ფინიჰთი).

დავსტოვე ველი და მთა და ბარი,
რომელს ზეწარი ღამისა ჰფარავს,
რაიც აფხიზლებს სულს წმინდა შიშით
და წინად გრძნობით მას მარად მსჭვალავს.
აწ უკვე სძინავს ველურსა სურვილს
ყოველგვარ მღელვარ მისწრაფებითა,
გულში მოძრაობს კაცთ სიყვარული
და ტრფობა ღვთისა სავსე შვებითა.

ჩუმად ფინიავ! აქეთ-იქით ნუ მიმორბიხარ!
რას ჰსუნავ ბჭესთან? მოდი, დაწექ ამ ბუხრის
გვერდით,
ჩემს საუცხოვო ბალიშს გაძლევ და მოისვენე.
და რადგან გარედ ჩვენ გვართობდი ხტუნვა-
სირბილით,
ახლა მიიღე ჩემგან ჩემი ეს მზრუნველობა,
ვით სასურველმა და საამო მშვიდმა სტუმარმა:

ახ, ოდეს ამ ჩვენს ვიწრო სარკმელში
ლამპარი ასე კვლავ აღინთება,
მაშინ მკერდის ქვეშ და თვითმცნობ გულში
სინათლე უხვად მოგვეფინება.
გონება იწყებს კვალად საუბარს,
ხოლო იმედი ჰყვავის, იშლება;
წყურვილით ველტვით ცხოვრების წყაროს,
ახ, სული მისკენ მიისწრაფება!

ნუ ჰღრინავ, ძაღლო! იმ ხმას იდუმალს,
რომლით ეს სული აწ იმსჭვალება,
ეგ პირუტყვული დახმაურება
არ ეგუება, სულ არ უდგება.
გამოგვიცდია, ადამიანნი
თავხედურ ზიზღით მას დასცინიან,
რასაც გონებით ვერ მისწვდებიან
ხან სიკარგესა და მშვენებაზე
დრტვინავენ, ბოღმით გლახ ივსებიან
რაკი არ მწყობრობს მათს გუნებაზე
ან არ კეთდება მათს მშრალს ნებაზე
და არ სასურველ ტვირთად ზურგს სძალავს
ნუ თუ ეს ძაღლიც აწ იმ ხალხს ჰბაძავს
და არ მოიშლის იმათებრ ღავღავს?

მაგრამ, ვაი, რომ თუმც სურვილი გულს მე-
ბადება,
ვგრძნობ, ამ მკერდიდან აღარ მოსჩქეფს კმა-
ყოფილება.
მაგრამ რად უნდა დამშრალიყო მსწრაფლ ნა-
კადული
და კვლავ წყურვილით რისთვის უნდა დავ-
ტანჯულიყავ?
და ეს რამდენჯერ ჩემის თავით გამომიცდია
მაგრამ ასეთსა გასაჭირსა უსწავლებია
რომ ზეციური მეტად ფასობს, ჩვენთვის არს
დია.
და გულს სწყურიან განცხადება ღვთაებრივისა
ეს ისე კარგად, ღირსეულად არსად მხურვა-
ლებს,
როგორც ამ წმინდა ახალ აღთქმაში.
იგი მიზიდავს, გადავშალო მთავარი ტექსტი
და გადავთარგმნო იგი წმინდა ორიგინალი
სვინდისიერად ჩემს საყვარელ გერმანულზედა.

(წიგნს ჭშლის და ემზადება სამუშაოდ)

სწერია: ,,პირველ იყო სიტყვაო!''
აქ კი დავიბენ. ვინ მიშველოს თარგმნა განვაგრძო?
არ შეიძლება ესდენ დიდსა ფას ვსდებდეთ
სიტყვას
ესე ადგილი სხვანაირად მე უნდა ვსთარგმნო.
უკეთუ მართლა სულიწმინდით შთაგონებულ-
ვარ,
აქა სწერია: ,,პირველ იყო გონიერება''.
კარგად გავსაზრო ეს სტრიქონი, ნუ ავჩქარ-
დები.
განა თუ იგი გონებაა, ყველაფერს რომ ჰქმნის?
აქ უნდა იყოს: „პირველ იყო ძალა“—
მაგრამ მე ამას ასე რომ ვსწერ, ვიღაც მამხი-
ლებს,
რომ ამ სიტყვაზე საბოლოოდ ვერ შევჩერ-
დები.
განგება მშველის, საბოლოო დასკვნას დავადექ
და ვსწერ თამამად: მოქმედება იყო პირველად.

ფინიავ, ნუ თუ ამ ოთახში კვალად გამყოფო,

თუ არ მოიშლი მაგ შენს წკავწკავს და მაგ შენს ყეფას?
მაგგვარს ამხანაგს ხელის შემშლელს მე ვერ ვიგუვებ,
ჩვენში ერთ-ერთმა ეს სარკმელი უნდა დასტოვოს.
თუმც არა გულით, მაგრამ ვარღვევ სტუმართ უფლებას.
კარი ღიაა, საითაც გსურს, იქით გაჰკურცხლე.
მაგრამ რას ვხედავ? ნუ თუ ასე ეს მართლა ჰხდება?
ჩემი ფინია ვით იზრდება სიგრძე-სიგანით!
იგი არა ჰგავს სრულად ძაღლის მოყვანილობას;
რა მოჩვენება ამ ჩემს სახლში შემოვიყვანე?
იგი ზე იწევს ვით მქშინავი კამეჩი ზღვისა
პირდაღებული, თვალებიდან ცეცხლის-მფრქვეველი.
ო, გიცნობ კარგად, ამნაირის მავნე სულისთვის
სწორედ მისწრება „სოლომონის გასაღებია“.

სულები (გარეთ).
ერთი ჩვენგანი პყრობილია ტყვედ.
დარჩით აქ გარედ, მის კვალს არ მიჰყვეთ.
როგორც მახეში მელა გაბმულა,
ისე ეშმაკი იქ მომწყვდეულა.
მაგრამ მოვიდეთ აწ გულის ხმასა
გავცურდეთ აქეთ, გავცურდეთ იქით
და მით ვუშველოთ როგორმე მასა.
თუ შეგვიძლიან, მას დავეხმაროთ,
ნულარ ვაყოვნებთ, მაშ დავეჩქაროთ.
მას ნუ დავსტოვებთ იქ დატყვევებულს,
ვინც ჩვენ გვიწევდა საქმეს ჩიხებულს.

ფაუსტ. რომ დავხვდე ნადირს არი საკმარო
ოთხი გამოთქმა ასე ვიხმარო:
სალამანდერ აენთოს,
უნდინემ იგრიხოს
სილფე გაჰქრეს
კობოლდმა იშრომოს *)

ვინც კი არ იცნობს
ბუნების ძალას და მის თვისებას,
იგი არც არის სულთა ოსტატი
და ვერცა შესძლებს მათზე ბრძანებას!
ალში გაჰქერ
სალამანდერ!
ჩუხჩუხით იდინე
უნდინე!
მნათობი აღინთე
სილფე!
სახლის შეწევნად მოგვიახლოვდი
კობოლდი!
აწ გამოჩნდი რაც ხარ სრული,
ჰპოვე შენი დასასრული?

ოთხში არც ერთი მას არ უდგება,
იგი წევს მშვიდად და მემუქრება კბილთა ღრჭენითა.
სჩანს არ ხვდომია მას ჩემგან ვნება,
მექმენ სმენითა
აწ მოგტეხ სხვაგვარ შელოცვებითა!

თუ ხარ აქ მყოფი სული წყეული
ჯოჯოხეთიდგან გამოქცეული,
შეხე ამ ნიშანს!
მის წინ ქედს იხრის და იგრიხება
შავბნელი გროვა მისგან ძლეული.
აჰა, ჯაგარი ტანთ ებურძგნება.

არსებავ კრულო, შეჩვენებულო,
აქ წაიკითხე, თუ ვინ სწერია.
არადროს ქმნილი, აღმოუთქმელი
ვის ყოველივე ხელში სჭერია
იგი ჯვარცმული და ჩვენი მხსნელი.

ა. შ.

(შემდეგი იქნება).

*) ამ სიტყვებს ასე ჰხსნიან: ეს შელოცვა ოთხის სტიქიის წინაამდეგ არის მიმართული: ცეცხლის (სალამანდერ), რომელიც უნდა დაიწვას; წყლის (უნდინე) იგრიხოს, მიხვეულ-მოხვეულ ნაკადულებად წავიდეს; ჰაერის (სილფე) გაჰქრეს. გერმანულად არის ქარად შემოიგრიხოს და მიწ. ს (კობოლდი), რომელმაც უნდა იშრომოს.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა

1915 წ.

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტ. ჟურნალ

წელიწადი მეოთხე.

„ალდი“-ზედ.

წელიწადი მეოთხე.

წლიური ფასი ხუთი მან., ექვსი თვით სამი მან.

ცალკე ნომერი ორი შაური.

ყოველკვირეული საორშაბათო საპოლიტიკო,

სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„შადრევანი“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის. გაზეთი ღირს 1 წლით—2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით —1 მან. 25 კაპ., ერთი თვით 25 კაპ. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი. კანტორის და რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ для „**Шадревани**“. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით. Тифлисъ, Типографія „Сорапанъ“ **Александру Г. Мумладзе.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.